



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 34
29/03/2018

34-06-4-201803291033



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიასა და ამავე საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის გერმანე ჭანუყვაძის სამსახურებრივი მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივითვი თმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - დავით დარჩია და ამავე საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გერმანე ჭანუყვაძე მივლინებულ იქნას ქალაქ თბილისში, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ დაგეგმილ მუნიციპალიტეტებში „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის“ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით გასამართ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, 2018 წლის 30 მარტიდან პირველი აპრილის ჩათვლით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

